

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია
პირველწოდებულის

სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა და სამართლის სკოლა

(ფაკულტეტი)

ფილოლოგიის მიმართულება

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

„თარგმანმცოდნეობა“

ხელნაწერის უფლებით

ნინო ფალაფანდიშვილი

„გრანსლატიკის პრობლემები და პერსპექტივები გიუნტერ გრასის

ტექსტების ქართულად თარგმნის პროცესში“

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერგაციო მაცნე

თბილისი

2018

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქო წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ნანა გოგოლაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

ოფიციალური შემფასებლები: 1) **თამარ ჭუმბურიძე**

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

2) **რუსუდან თაბუკაშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2018 წლის ,, --19---ნოემბერს--- ”
--16:00----- საათზე, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N53-ა. ქართული უნივერსიტეტის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის სხდომათა დარბაზი, 4 სართული.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2018 წლის ,,-----” ნოემბერს.

ფილოლოგიის სექციის სწავლული მდივანი,

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი **ნინო მამარდაშვილი**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა

მსოფლიოში ცნობილ გერმანელ მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს, გიუნტერ გრასს ქართველი მკითხველი მისი სამი ნაწარმოების “დედალი ვირთაგვა, „კიბორჩხალას ნაბიჯით” და „თუნუქის დოლი“-ის ქართული თარგმანებით გაეცნო.

თუ გადავხედავთ თანამედროვე მხატვრულ თარგმანზე არსებულ ქართულ კრიტიკულ ლიტერატურას, ენახავთ, რომ ფაქტიურად არ არსებობს გიუნტერ გრასის ირგვლივ ქართული თარგმანების კრიტიკა ან თუნდაც მისი თარგმანის ენისადმი მიძღვნილი წერილები, სადაც შეიძლება აღმოგვეჩინა, თარგმანში დაშვებული აზრობრივი თუ ენობრივი შეცდომები, ინდივიდუალური სტილის ელემენტების თარგმნის ხერხები, ლექსისა და თარგმნის შეპირისპირებითი ანალიზი.

თარგმანმცოდნეობა, რომელმაც მე-20 საუკუნის ბოლო ათეულ წლებში მეცნიერების სტატუსი მოიპოვა, ქართული მთარგმნელობითი კრიტიკის გარეშე დარჩა. მცირე გამონაკლისების გარდა, არ არსებობს ქართული თარგმანების პროფესიული, არგუმენტირებული კრიტიკა, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც ქართული თარგმანების ხარისხზე, ასევე მთარგმნელების და მკითხველების ენობრივ კომპეტენციაზე თუ ესთეტიკურ გემოვნებაზე.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია გიუნტერ გრასის ქართული თარგმანების კრიტიკული ანალიზი, რაც ხაზს უსვავს საკვალიფიკაციო თემის აქტუალობას. განსახილველად ავირჩიეთ პოსტმოდერნისტული ნაწარმოებები, რომელთა თემატიკა დღევანდელ დღეს ძალიან აქტუალურია.

პრობლემის შესწავლის ისტორია

ტექსტლინგვისტურ, ფსიქო-და- სოციოლინგვისტურ მიმართებებს. განსახილველად ავირჩიეთ პოსტმოდერნისტული ნაწარმოებები, რომელთა თემატიკა დღევანდელ დღეს ძალიან აქტუალურია.

საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია, მხატვრული თარგმანის ფენომენი განხილულ იქნას კულტურის ჩარჩოში, რათა გამოიკვეთოს თარგმანების როლი მიზან-ენის ტექსტების სფეროში, რადგან უცხო მსოფლმედველობრივი თუ კულტურული ინოვაციების შემოტანით, ისინი გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ეროვნულ მსოფლშეგნებაზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

საკვალიფიკაციო ნაშრომის სიახლედ მიგვაჩნია გრანსლატიკის საინტერპრეტაციო კორპუსში სემიოტიკისა და ჰერმენევტიკის ძირითადი პოსტულატების შემოტანა. თარგმნის პროცესის ამსახველი „მოდელი“, იმპლიციტურად მოიცავს ისეთ მთავარ სემიოტიკურ ცნებებს, როგორცაა „კოდი“, „კოლირება“, „დეკოლირება“, „ლინგვიზაცია“, „ანტიციპაცია“ და სხვა. საკვალიფიკაციო თემის აქტუალობა წარმოიჩინდა გრანსლატიკური თეორიებისა და მეთოდების შესწავლის პროცესში, ხოლო წყარო -და მიზან- ტექსტების შედარების შედეგად დავრწმუნდით, რომ მათი ინტერპრეტაცია დაკავშირებულია სწორი თეორიული ბაზის შერჩევასთან და ამ ტექსტების ფორმალური თუ შინაარსობრივი საზღვრების დადგენასთან.

გრასის მხატვრული ტექსტებისა და მათი ქართული თარგმანების შედარების შედეგად, იმ დასკვნამდე მივედით, რომ გრანსლატიკის „ფაქტი“ და მისი ობიექტი, ფიქციონალური ტექსტი, წარმოადგენს თარგმნის პროცესში მოქმედი სემიოტიკური კოდების და კოგნიტიური კატეგორიების სუბლიმაციას, რომელშიც წარმოიჩინ-დება ნებისმიერი სახის ტექსტში იმპლიციტური სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ქართული თარგმანების შედარება წყარო-ტექსტებთან მოვახდინეთ „ჰერმენევტიკული წრის“ თანახმად, რომლის მთავარ არსს მთლიანი

ტექსტიდან გამომდინარე, მისი ცალკეული ნაწილების გაგება, შემეცნება და ასევე ცალკეული ნაწილების საშუალებით ტექსტის აღქმა წარმოადგენს. შევეცადეთ დაგვედგინა აილო თუ არა მთარგმნელმა ორიენტაცია სიტყვების კონოტაციურ მნიშვნელობებზე და მოექცა თუ არა იგი თარგმანის ენის „ჰერმენევტიკულ წრეში,“ და, ამის მეშვეობით განახორციელა ერთი ენის კოლიდან მეორე ენის კოლზე გადასვლის პროცესი.

ნაშრომში თარგმანის ტექსტს განვიხილავთ, როგორც ერის კულტურის შემადგენელ ნაწილს, რადგან იგი ამ სფეროში ახლებურ სააზროვნო სისტემას, ესთეტიკურ გემოვნებას და უცხო კულტურის „სამყაროსეულ სურათებს“ ამკვიდრებს.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს კვლევის შედეგები და განზოგადებული დასკვნები, მიზან-ტექსტების ინტერპრეტაციის დროს გამოყენებული სხვადასხვა მეთოდის შერჩევები. ამ მეთოდებიდან ერთ-ერთი უმთავრესი, წყარო- და მიზან- ტექსტებს შორის არსებული დინამიკური და ფორმალური ეკვივალენტობის მეთოდი, როდესაც მიზან-ტექსტის თარგმნის ხარისხის შემოწმება მისი დენოტატიური და კონოტატიური ასპექტების გარდა, ტექსტუალურ, პრაგმატულ და ფორმალურ-სტრუქტურულ დონეზე ხდება. ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე ფუნქციონალისტური, დისკრიბუციული, გრანსფორმაციული და სუბსტიტუციური კვლევის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც გამოვლინდება წყარო- და მიზან-ენების კონვერგენტულ-დივერგენტული ხასიათი და ის ენობრივი და ლოგიკური უნივერსალიები, რომელთა არსებობაც ტექსტის სიღრმისეულ სტრუქტურებში უზრუნველყოფს თარგმნის პროცესის შესაძლებლობას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

საკვალიფიკაციო კვლევა და მის შედეგად მიღებული დასკვნები და დებულებები წარმოაჩენს მე-20 საუკუნის ცნობილი გერმანელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, გიუნტერ გრასის ტექსტების ქართული თარგმანების კვლევას. იგი დაეხმარება თარგმანმცოდნეებს

ტექსტების თარგმანთა კრიგიკული ანალიზის განხორციელებაში და ქართული თარგმანების ეკვივალენტურობის, **დადგენაში**.

კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა საუნივერსიტეტო კურსის წარმართვისას ქართულ-გერმანული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის მიმართულებით

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს კომპიუტერზე აკრეფილ 215 გვერდს. იგი შედგება შესავალის, ხუთი თავის, დასკვნისაგან.

პირველი თავი - „ტრანსლატიკა, როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერება და კულტურის ფენომენი,“ გაყოფილია ხუთ პარაგრაფად.

მეორე თავი - „ტექსტი, დისკურსი, ინტერტექსტუალობა“ გაყოფილია სამ პარაგრაფად

მესამე თავი - „გრასის ბიოგრაფიული ცნობები და მისი, როგორც მწერლის სიგყვათშემოქმედების მნიშვნელობა“

მეოთხე თავი - „სემიოტიკაზე ორიენტირებული მეტაფორიზირებული ტექსტების თარგმნის პრობლემები გაყოფილია სამ პარაგრაფად

მეხუთე თავი - გიუნტერ გრასის მთარგმნელის ტრანსლატიკური პარადიგმა.

ნაშრომს უძღვის სარჩევი და ანოტაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ასევე ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია(140 ერთეული)

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალი

შესავალში წარმოჩენილია მე-20 საუკუნის ცნობილი გერმანელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, გიუნტერ გრასის რომანების ფსიქოლოგია, მხატვრული თარგმანის ფენომენი, გრანსლატიკის ინტერდისციპლინარული სტაგუსი, რომლის თანახმადაც იგი სარგებლობს ისეთი გლობალური მეცნიერებების პარადიგმებითა და გერმინოლოგიით, როგორცაა სემიოტიკა, ჰერმენევტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, ფსიქო-და -სოციოლინგვის-ტიკა.

თავი 1, „გრანსლატიკა, როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერება და კულტურის ფენომენი“

პირველ პარაგრაფში „სეპირ-უორფის ჰიპოთეზის კულტურული რელატივიზმი“ მიმოხილულია სეპირ-უორფის ჰიპოთეზის მთავარ პოსტულატები. განხილულია ინტერდისციპლინარული გრანსლა-ტიკა, რომელმაც შესაძლებელი გახადა წყარო-და მიზან-ტექსტების სხვადასხვა მეთოდით ანალიზი და მათი ეკვივალენტური ერთეულების ინტერპრეტაცია ახლა უკვე სემიოტიკის, ჰერმენევტიკის, ტექსტის ლინგვისტიკის, სოციო-და ფსიქო-ლინგვისტიკის თეორიებისა და გერმინოლოგიის დონეზე.

მეორე პარაგრაფი „სემიოტიკა და თარგმანი“ განიხილავს მიმართებებს ლექტიკურ ნიშნებს შორის, რადგან ეს ნიშნები თარგმნის პროცესში ხშირად მიუთითებენ კულტურებს შორის არსებულ განსხვავებებზე, ასევე ყურადღება გამახვილებულია თარგმნის პროცესში სიმბოლური ნიშნების ამოცნობასა და მათ სწორად თარგმნაზე.

მესამე პარაგრაფი „ჰერმენევტიკული წრე“ მიმოხილავს მხატვრული ტექსტების ჰერმენევტიკულ ინტერპრეტაციას თარგმნის პროცესში. „ჰერმენევტიკული წრის“ მთავარ არსს მთლიანი ტექსტიდან გამომდინარე, მისი ცალკეული ნაწილების გაგება, შემეცნება და ასევე ცალკეული ნაწილების საშუალებით ტექსტის აღქმა წარმოადგენს.

მეოთხე პარაგრაფში „გრამატიკა“ წარმოდგენილია გერმანული ენის კომპლექსური გრამატიკული სტრუქტურების ქართულად თარგმნის

პროცესში გამოვლენილი დარღვევები თუ მართებული ვარიანტები. განხილულია მეთოდები, რომლებიც გრანსლაგორს ეხმარება მიზან-ენაში გერმანული დროითი კატეგორიების ცხრილის, დროების პრიმარული და სეკუნდარული კონიუქტივიტის ფორმების, სახელის ბრუნვათა სისტემის, მოდალური ზმნების ინფინიტივის მართებულად თარგმანაში.

მესუთე პარაგრაფში „კრეატიულობა“ ყურადღება გამახვილებულია გრანსლაგიკის სფეროში კრეატიულობის დიდ მნიშვნელობაზე; გრანსლაგორის კრეატიულობისა და ფანტაზიის წყალობით, მწერლის ტექსტები კიდევ უფრო მეტ მომხიბლევლობას იძენენ. განხილულია პაულ კუსმაულის ნაშრომი „კრეატიული თარგმანი“, რომელიც წარმოგიდგენს მხატვრული თარგმანის 4 ფაზიან მოდელს.

თავი II. ტექსტი, დისკურსი, ინტერტექსტუალობა

პირველ პარაგრაფში „ტექსტი“ აღწერილია ის კრიტერიუმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ისეთ ინტერდისციპლინარულ სფეროს, როგორც ტექსტის ლინგვისტიკაა. იგი უშუალოდ დაკავშირებულია ტექსტთან, დისკურსთან და თარგმანთან და ამდენად აუცილებლად მიგვაჩინა მისი განხილვა გრანსლაგიკასთან მიმართებაში.

მეორე პარაგრაფში „დისკურსი“ განხილულია დისკურსის ბეპირი და წერილობითი ფორმები. წყარო-ტექსტების სიღრმისეული თარგმნა მიზან-ენის სინტაქსური და სემანტიკური კატეგორიების დონეზე ხდება, მაგრამ ამ პროცესის პარალელურად იქმნება სხვადასხვა საზრისები, რომლებიც დისკურსში გადადიან და ე.წ. დისკურსული სტრუქტურების სახით წარმოჩნდებიან.

მესამე პარაგრაფში ინტერტექსტუალობა გამოკვეთილია გიუნტერ გრასის, როგორც პოსტმოდერნისტი მწერლის, ტექსტების ინტერტექსტუალობა.

მთარგმნელის ინტერტექსტუალური კომპეგენციას ქმნის მისი გამოცდილება, რომელიც მან წინა ტექსტების თარგმნის პროცესში მიიღო. სწორედ წინარე გამოცდილების საფუძველზე ქმნის იგი საკუთარი სკრიპტების რეპერტუარს თითოეული დისკურსისთვის.

თავი III. გრასის ბიოგრაფიული ცნობები და მისი, როგორც მწერლის სიკვყათემოქმედების მნიშვნელობა.

ამ თავში წარმოდგენილია გიუნტერ გრასის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი გზები. გიუნტერ გრასმა ღიმილი კვალი დატოვა არა მარტო გერმანულ კულტურაში, არამედ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში.

მწერალი თავის ტექსტებში ყველა სხვა ტექსტის გამოცდილებას სხვადასხვაგვარი ფორმებით ახდენს: პირდაპირი ციტირებით, მათ გადამუშავებით, პერიფრაზით, ან მათზე მითითებით.

თავი IV. სემიოტიკაზე ორიენტირებული მეტაფორიზირებული ტექსტების თარგმნის პრობლემები

პირველი „პარაგრაფი მეტაფორა“ – შესწავლილია მეტაფორის თარგმნის წესები და მეთოდები. მხატვრული მიზან-ტექსტის ანალიზის დროს პრიორიტეტი ენიჭება ხატოვნების აღქმის ხარისხს, რაც უშუალოდ დაკავშირებული მთარგმნელის კრეატიულობის უნართან. ორიგინალისა და შედარებითი ანალიზის შედეგად დავადგინეთ, რომ თეორიული და მეთოდოლოგიური წინარე ცოდნის გარეშე თითქმის შეუძლებელია მეტაფორიზებული, მხატვრული ტექსტების თარგმნა.

მეორე პარაგრაფი „ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების თარგმნის პრობლემა მხატვრულ ტექსტებში“ – შესწავლილია ფრაზეოლოგიზმების თარგმნის ხერხები და მეთოდები. წყარო-ტექსტიდან ძირითადი მნიშვნელობების პოვნა და გადმოცემა, ამა თუ იმ ხერხის მოძიება მთარგმნელის მიერ ეროვნულ საგანძურში აღმოჩენილი ფრაზეოლოგიზმები თუ გრამატიკულ-ლექსიკური ერთეულები წარმოადგენენ, და რომ არა მთარგმნელის მიერ სწორად აღქმული გამოთქმების მართებული ინტერპრეტირება, ტექსტი დაკარგავს მხატვრულობასა და მიმზიდველობას.

მესამე პარაგრაფი „ფორმაუცვლელი სემიოტიკური ნიშნების

თარგმნის პრობლემა მხატვრულ ტექტებში'' მიმოიხილავს მხატვრული ტექსტის თარგმნის პროცესში განსაკუთრებული აქტუალობის მაგარებელ ფორმაუცვლელ სემიოტიკური ნიშნებს, რომლებიც ენობრივ უნივერსალებს განეკუთვნება. გ.გრასის ქართული თარგმანების შედარებამ ორიგინალურ ტექსტებთან დაგვანახა, რა დიდ როლს ასრულებენ თარგმნის პროცესში, ეს ფორმაუცვლელი სიგყვები, რომლებსაც არ გააჩნიათ წინადადების წევრის ფუნქცია, მაგრამ წინადადებას მთლიანად მოდალურ სემანტიკას ანიჭებენ

თავი V. გიუნგერ გრასის მთარგმნელის გრანსლატიკური პარადიგმა

ამ თავში განვიხილავთ გიუნგერ გრასის მთარგმნელის გრანსლატიკური პარადიგმას.

სადისერგაციო ნაშრომზე მუშაობის ფონზე ჩვენს წინაშე გამოიკვეთა მთარგმნელის ნანა გოგოლაშვილის სახე, რომელიც ამ საქმიანობას პროფესიული კრიტერიუმებით განსაზღვრავს და მიაჩნია, რომ ეს ძძლიან სერიოზული საქმიანობა მეცნიერულ გააზრებასა მოითხოვს. ნ.გოგოლაშვილის თარგმანების გაცნობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ პროფესიონალი მთარგმნელი, ლინგვისტიკის საუკეთესოდ ცოდნის გარდა, აუცილებლად უნდა ფლობდეს გრანსლატიკის ზოგად და კერძო თეორიებსაც, და იმ მეცნიერებების საფუძვლებს, რომლებმაც გრანსლატიკის ინტერდისციპლინარულ დარგად ჩამოყალიბებას შეუწყვეს ხელი.

დასკვნა

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ჩატარებული კვლევის შედეგები, შეფასებულია მე-20 საუკუნის ცნობილი გერმანელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, გოუნგერ გრასის ტექსტების ქართული თარგმანები.

გრასის ტექსტების ანალიზმა დაგვანახა ის სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია მისი ტექსტების ქართულ ენაზე თარგმანთან.

ჩვენს მიერ განხილული სამივე რომანის თარგმანები დედნის შესატყვისი პასაჟების ამრობრივი ინფარიანტებია, მაგრამ ტექსტებში ვხედავთ ადგილებს, სადაც სრულად ვერ ხერხდება ავტორისეული საზრისის სრულფასოვანი ასახვა.

1) გრასის ტექსტები მდიდარია ფრაზეოლოგიზმებითა და იდიომებით, სწორედ ეს ხდის ამ ნაწარმოებს მაღალმხატვრულს და გამორჩეულს, და თუკი გრანსლაგორის მიერ არ იქნება სწორად აღქმული ამ გამოთქმების მართებული ინტერპრეტირება მიზან-ენაში, ტექსტი დაკარგავს მხატვრულობას და მიმზიდველობას.

2) მთარგმნელი ვალდებულია ლექსიკური გამოხატვის თვალსაზრისით, სხვადასხვა კულტურის ენობრივი ერთეულების ანალოგიით, აღმოაჩინოს სტილური და კონოტაციური განსხვავებები წყარო-და მიზან-ენების ტექსტებს შორის.

3) მთარგმნელი უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს თარგმნის თეორეტიკოსი, რომ მას გაუადვილდეს გრასის ტექსტების რთული ქსოვილის გახსნა. რაზეც მეტყველებს მთარგმნელ ნ.გოგოლაშვილის თარგმანები.

მთარგმნელის მიერ ამა თუ იმ სიტყვებისა და გამოთქმების არასწორად შერჩევის გამო, იკარგება მიზან-ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რეალია და ავტორისეული საზრისის შენარჩუნების ნაცვლად, არასწორ თარგმანს ვიღებთ.

4) მთარგმნელებისათვის გარკვეულ შემთხვევებში წყარო-და მიზან-ენებში უნივერსალური ამროვნებითი კატეგორიების გამოვლინების ერთ-ერთ საშუალებას ამ ენების სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების შედარების მეთოდი უნდა წარმოადგენდეს

5) მთარგმნელები ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ, თუ როგორ ხდება ორივე ენაში მეტყველების ნაწილების დაკავშირება სინტაქსურ ფუნქციებთან, ასევე ზმნის სისტემას, აწმყო, წარსული და მომავალი დროების ფორმებს, მათ პრიმარულ და სეკუნდარულ ფუნქციებს.

6) მთარგმნის პროცესში გრანსლატორმა მედაპირული სტრუქტურების მეშვეობით უნდა მოახდინოს წინადადების სიღრმისეული საზრისის ამოცნობა, რაც თავისთავად იწვევს მედაპირული სტრუქტურების მონაცვლეობას და მთარგმნელს ეხმარება მოახდინოს სწორი და მართებული ინტერპრეტირება მიზან-ენაში, გარკვეულ შემთხვევებში დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება.

სადისერგაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა.

1. „გიუნტერ გრასის შემოქმედების პრობლემები ტრანსლატიკური პარადიგმის შუქში. გიუნტერ გრასის ნაწარმოებების „დედალი ვირთაგვა,“ „კობორჩხალას ნაბიჯით“ ქართულად თარგმნის მაგალითზე.“ ჟურნალი „განათლება,“ თბ. N2 (16) 2016 გვ.(85-92)

2. „ფორმაუცვლელი სემიოტიკური ნიშნების თარგმნის პრობლემა მხატვრულ ლიტერატურაში გ. გრასის ნაწარმოებების ქართული თარგმანების მაგალითზე.“

საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური. სამეცნიერო ჟურნალი „**Scripta manent**“ თბ. N3(35) 2017 გვ(24-32)

3. „სემიოტიკაზე ორიენტირებული ტექსტის ჰერმენევტიკური ინტერპრეტაცია გ. გრასის რომანის დედალი ვირთაგვას მიხედვით“ „საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური. სამეცნიერო ჟურნალი „**Scripta manent**“ თბ N2(38) 2018 გვ(68-75)

**St Andrew the First -Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia**

**Humanitarian Sciences and Law School
(Faculty)**

**Philology Direction
Doctoral Academic Program
„ Translation Studies”**

Copyright

Nino Palavandishvili

**„Problems and Perspectives in Translation Process of
Gunter Grass’s Texts “**

Abstract of Thesis

Submitted for PhD Degree in Philology

Tbilisi

2018

**The research for the thesis has been conducted at Philology
Direction of Humanitarian Sciences and Law School**

(Faculty) of St. Andrew the First – Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia

Scientific Supervisor: Nana Gogolashvili

PhD of Philology, Professor

Official Opponents: 1) Tamar Chumburidze

PhD of Philology, Professor

2) Rusudan Tabukashvili

PhD of Philology, Professor

The public oral examination of the doctoral thesis will be held on 19 of November, 2018 at the session of the dissertation committee of Philology section of Dissertation Board of Humanitarian Sciences and Law School (faculty) of St Andrew the First -Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

Address: 0162, Tbilisi, I.Chavchavadze avenue N:53a. St David Agmashenebeli the Righteous Conference Hall of Georgian University(the 4th floor)

The dissertation thesis is available at the Scientific Library of St Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

The abstract of thesis was distributed on 2018 ,, -----”
. -----

Academic Secretary of the Philology Section of the
dissertation board

Doctor of Philology,

Professor Nino Mamardashvili

General Characteristics of the Study

Topicality of the Subject

A Georgian reader got familiar to Gunter Grass,-a world famous writer, the Nobel laureate, with the Georgian translations of his three creations: ‘The Rat’, ‘With the Cancer’s Step’ and ‘The Tin Drum’.

Looking through the Georgian literary criticism about the modern translations of fiction, it is obvious that practically there is no criticism of Gunter Grass’s Georgian translations or the letters related to the language of his translations where we would be able to find out meaningful and linguistic errors made in the translations, ways of translating of individual style elements, comparative analyses of the original and its translation.

The topicality of the qualifying thesis is determined by the fact that, translation study which gained a scientific status in the last ten years of the 20th century, has never been criticized by the Georgian translators. Besides the small exceptions, there is no professional, argumentative criticism of Georgian translations, which negatively affects the quality of Georgian translations as well as the linguistic competence of the translators and readers or the aesthetic taste.

The interdisciplinary status of translation also indicates the topicality of the qualifying thesis according to which it uses paradigms and terminology of such global sciences as semiotics, hermeneutics, text linguistics, psycho and social linguistics.

The Problem Studying History

According to the present topic, we read Gunter Grass’s three texts: ‘With the Cancer’s Step’, ‘The Rat’, and ‘The Tin

Drum'' in the German and Georgian languages. The theoretical issues of translation are based on the following main works:

Gogolashvili, Nana „The Problem of Modeling the World in the Process of Translating Fiction'', Linguistic Researches, XI, publish house 'The Georgian Language'', Tbilisi, 2001

Iamanidze, Mari „Radegund Shtoltse's Translation Theories'', translation and analyses of the chapters I, II, III and XVII, Tbilisi 2011;

Sakvarelidze, Neelly 'Issues of Translation Theory'', University Public House, Tbilisi 2001

Panjikidze, Dali 'Theory and Practice of Translation'' Tbilisi: Tbilisi 201 State University public house, 1988

Tsibakhashvili, Giorgi 'Issues of Translation Theory and Practice. Tbilisi, TSU,

Buchholz, Michael „Metaphernanalyse'' Verlag: Vandenhoeck +amp; Ruprecht Göttingen, 1993

Gadamer, Hans-Georg, „Wahrheit und Methode'' Tübingen, 1990

Gogolashvili, Nana „Theoretische Probleme der Translatik. 'Germanistische Studien'' N3, Caucasion House, Tbilisi 2004

Hans Werner, Richter: „Im Etablisement der Schmetterlinge. Einundanzig Portraits aus der Gruppe 47.'' Deutscher Taschenbuch Verlag GmbH. München, Auflage Mai 1993.

Rolf, Eckard „Metaphortheorien, Typologie, Darstellung, Bibliographie'', Berlin, New York: Walter de Gruyter, 2005

Schäffner, Christina. „Metaphern.'' In: Handbuch Translation(2). Snell-Hornby, Mary; Hönig, Hans G.; Kußmaul, Paul(Hrsg), Stauffenburg Handbücher) Taschenbuch, 2006

Main Goals and Objectives of the Subject

The goal of the present study is to analyze the translations of Gunter Grass's texts in the interdisciplinary point of view and expend theoretical and methodological positions of translation, which include semiotic, philosophical, text linguistic and psycho-social linguistic directions. We chose postmodernist creations for discussing ,which thematic is very popular today.

The objective of the qualifying work is to discuss the phenomenon of fiction translation within the frame of culture in order to highlight the role of translations in target-language texts field as by introducing of foreign worldview or cultural innovations, they will enable to influence on the national world consciousness.

Scientific Novelty and Main results of the Thesis

Introducing of main postulates of semiotics and hermeneutics in the interpretation corpus of translation is the novelty of the qualifying thesis. The reflecting "model" of translating process implicitly includes such semiotic notions as: "code", "coding", "decoding", "linguistics", "anticipation" and etc. The actuality of the qualified thesis occurred in studying of translation theories and methods process, as a result of comparing the source and target texts, we were convinced that their interpretation is due to selecting of a right theoretical base and establishing of formal and content boundaries.

After comparing of Grass's creations with their Georgian translations, we came to the conclusion that the "fact" of

translation and its object, fictional text represents the sublimation of semiotic codes and cognitive categories which exist in translation process in which implicated syntactic and semantic structures occur in any type of text.

Theoretical and Methodological Grounds of the Thesis

Comparing of the Georgian translations with the source texts was implemented according to ‘hermeneutic’ circle that main idea is to comprehend, cognate of its separate parts of the whole text and to perceive the text with the help of the separate parts. We attempted to establish if the translator focused on the connotative meanings of the words and if she influenced or not by the ‘hermeneutic’ circle of the translation language and through that she implemented the process of switching from one language code to the other one.

We discuss the translated text as a consisting part of the nation’s culture as it establishes a new thinking system, aesthetic taste and ‘world pictures’ of the foreign culture.

Theoretical Value of the Thesis

Theoretical value of the thesis is the results of the research and general conclusions. Various methods selection is used during the interpreting of the target texts. One of these methods, the most important is the method of dynamic and formal equivalency between the source and target texts, when

checking of the quality of translating target text, except its denotative and connotative aspects, is implemented at textual, pragmatic and formal-structural level. Functionalistic, distributional, transformational and substitutive research methods are also used in the thesis which make easy to occur convergent-divergent characters of the source and target texts and those linguistic or logical universals which existence in deep structures of the text provides translating process.

Practical Importance of the Thesis

The qualifying research and its conclusions and provisions reveals researching of the Georgian translations of an outstanding 20th century, the Nobel Laureate, German writer Gunter Grass's creations. It will help translators in the implementation of critical analyzes and determining of the cognitive and semiotic aspects, the equivalence of Georgian translations.

The results of the research will be enable to be used during conducting different courses at universities in the directions of Georgian-German cultural-literary relations, translation theory and practice.

The Structure and Volume of the Thesis

The dissertation thesis consists of 215 typed on the computer pages. It includes the introduction, five chapters and conclusion.

The first chapter-„Translation as an Interdisciplinary Ccience and Cultural Phenomenon”, is divided into five paragraphs.

The second chapter-“Text, Discourse, Intertextuality”, is divided into three paragraphs.

The third chapter,- „Grass's Biography and the Importance of His Creations ”.

The fourth chapter- „The Problems of Metaphoric Texts on the Bases of Semiotics’’ - is divided into three paragraphs.

The fifth chapter,-‘ The Translatic Paradigm of Gunter Grass’s Translator’’

The dissertation thesis is attached with the contents and Georgian-English annotations. It also has the list of the used literature. (140 items).

Main Content of the Thesis

Introduction

The introduction deals with an outstanding German writer, The Nobel Laureate, Gunter Grass's novels' psychology, phenomenon of fiction translation, interdisciplinary status due to which it uses such paradigms and terminology of global sciences as semiotics, hermeneutics, text linguistics and psycho-and-social linguistics.

Chapter I. Translatic as the Interdisciplinary Science and Cultural Phenomenon

Main postulates of "Sapir Whorf's Cultural Relativism of Hypothesis" are reviewed in the first paragraph. The interdisciplinary translatic is discussed according to which source and target texts analyses with different methods and their equivalent units interpretation already at semiotics, hermeneutics, text linguistics, social and psycholinguistics and terminology levels is possible.

The second paragraph "Semiotic and Translation" discusses the relations between detective signs as these signs often indicate to culture differences in translation process. The focus is on finding out of the symbolic signs in translating process and their correct translation.

The third paragraph "Hermeneutic circle" reviews the hermeneutic interpretation of fiction translation in translating process. Main idea of "Hermeneutic Circle" is to comprehend, cognate of separated parts from the whole text and to perceive the text through its separated parts.

The fourth paragraph "Grammar" reveals disorders or right versions of complex grammatical structures of the German grammar. The methods which help translators to translate

German tense category timetables, primary and secondary forms of conjunctivity, conjugated system of names, modal verbs infinitive right translation into the target language are also discussed in this paragraph.

The fifth paragraph ‘Creativity’ focuses on the great importance of creativity in translation field; A writer’s texts gain more attraction through translators creativity and phantasy. Paul Kussmaul’s work ‘Creative Translation’ which represents 4 phased model of fiction translation is discussed in this paragraph.

Chapter II Text, Discourse, Intertextuality

The chapter includes three thematic paragraphs

Paragraph 1,, Text ’’

This paragraph describes those criterias which are the bases of such interdisciplinary field as text linguistics. It is directly related to text, discourse and translation and because this, we consider its discussion in translating.

Paragraph 2 ‘Discourse’

The second paragraph reviews oral and written forms of discourse. Perfect translation of source language texts are implemented at the levels of syntax and semantic categories but simultaneously with this process, different opinions are created which turn into discourse and reveal as so called discourse structures.

Paragraph 3 ‘Intertextuality’

The third paragraph refers to Gunter Grass’s texts intertextuality as a postmodernist writer. A translators experience gained from the previous texts makes an

intertextual competence. He/she creates his/her repertoire of own scripts for each discourse based on the previous experience.

Chapter III. Grass's Biography and the Importance of His Creations

The chapter represents Gunter Grass's biography and creative history. Gunter Grass greatly influenced not only on the German culture, but he also played an important role in world literature development.

The writer uses his experience of the texts with different forms in his creations: through direct quoting, through their modifying, paraphrasing or focusing on them.

Chapter IV. Problems of Translating Metaphoric Texts Based on Semiotic

This chapter consists of three thematic paragraphs.

Paragraph 1. "Metaphor"

Rules and methods of translating metaphors are studied in this paragraph. Priority is given to quality of imagery perception during analyzing of fictional target texts which is directly related to a translator's creative ability. In the result of comparing the original and translated texts we came to the conclusion that it is almost difficult to translate metaphoric, fiction texts without the background of theoretical and methodological knowledge.

Paragraph 2. „Problems of Translating Phraseology and Idioms in Fiction”

The ways and methods of translating phraseology are studied in this paragraph. Phraseologies or grammatical-lexical units which are found out by a translator in the national treasure, give an opportunity to find main meanings, different ways and their transferring from source language and without translators' right interpretation of perceived expressions, a text loses its creativity and attraction.

Paragraph 3 “ Problems of Translating Unchangeable Signs of Semiotics in Fiction”

The paragraph focuses on unchangeable signs of semiotics carrying a specific actuality which belong to linguistic universals. Comparing of G. Grass's Georgian translations with the original texts made us enable to see a great role of these unchangeable words in translation process. They do not have a function of a part of the sentence , although they entirely gain modal semantic to the sentences.

Chapter V. Translatic Paradigm of Gunter Grass's Translator

We discuss translatic paradigm of Gunter Grass's translator in this chapter. The translator's Nana Gogolashvili was revealed during working at the dissertation thesis who values this activity according to professional criterias and considers this very serious work needs scientific comprehencing. Got familiar to Nana Gogolashvili's translation took us to the conclusion that a professional translator needs the best knowledge of linguistics together with general and private theories of translation and the grounds of those sciencies which promoted translation to be established as an independent interdisciplinary field.

Conclusion

The results of the research is summed up in the conclusion of the dissertation thesis, the Georgian translations of the 20th century outstanding writer, the Nobel Laureate Gunter Grass's novels are assessed.

Analyses of Grass's texts revealed those difficulties which are related to the translations of his novels into Georgian.

The translations of three novels which were discussed by us are meaningful inversions of of relevant passages of the original but still there are some passages which are unable to be perfectly translated in order to reflect the author's exact opinions.

1) Grass's texts are rich in phraseology and idioms which make these novels high profile and distinguishable and if a translator could not perceive the right interpretation of the expressions in the target language, the text would lose its artistry and attraction.

2) A translator is obliged to find out stylistic and connotative differences between the source and target texts from the point of lexical expressing through the analogy of linguistic unites of various cultures.

3) First of all, a translator must be a theorist in order to open Grass's text compression tissue easily, that is what translator Nana Gogolashvili's translations speak.

Because of incorrect selection of words and expressions, the specific characteristic realia of the target language is lost and we get a wrong translation instead of saving the author's opinion.

4) One of the ways of revealing categories of universal thinking in the source and target languages must be a comparing method of in-depth and surface structures of these languages.

5) Translators often do not mind how the parts of speech are related to syntax functions, verb system, present, past and future tenses, their primary and secondary functions of both languages.

6) A translator must find out in-depth opinion of a sentence through surface structures during translating which automatically causes alternating of surface structures and helps a translator in right interpretation in the target language, in making decisions independently in a particular case.

The List of the Publications Related to the Thesis

1),, The Problems of Gunter Grass's Creations in the Light of Translatic Paradigm, According to the Georgian Translations of Gunter Grass's Novels 'The Rat', 'With the Cancer's Step', journal 'Ganatleba', Tb. #2 (16) 2016 p.(85-92)

2),,The problem of Translating Unchangeable Semiotic Signs in Fiction According to the Georgian Translations of Gunter Grass's Novels'', International Reviewed Multilingual-Scientific Journal ,,Scripta manent“.Tb. #3(35) 2017p. (24-32)

3) ,,Hermeneutic Interpretation of the Text Oriented on Semiotics According to G. Grass's Novel 'The Rat'', International Reviewed Multilingual-Scientific Journal ,,Scripta manent“.Tb. #2(38) 2018 p.(68-75)